საგადასახადო & სამართლებრივი სიახლეები

12 ნოემბერი 2019

„ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესახებ

ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით, 2019 წლის 1 დეკემბრიდან ამოქმედდება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პრინციპი. ხსენებული პრინციპი გულისხმობს შემდეგს:

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება

- ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, თუ იგი აწარმოებს, გადაამუშავებს, დაამუშავებს, ყიდის ან ახორციელებს ისეთი პროდუქტის იმპორტს, რომელიც შემდგომში სპეციფიკური ნარჩენი ხდება, უჩნდება ვალდებულება უზრუნველყოს პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ტრანსპორტირება, აღდგენა (მათ შორის, რეციკლირება) და გარემოსთვის უსაფრთხო განთავსება. ვალდებულება ექნება პროდუქტის ბაზარზე განმათავსებელ ნებისმიერ პირს.

პროდუქტის ბაზარზე განთავსება

- ბაზარზე განთავსებად მიიჩნევა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა) პროდუქტის ბაზარზე პირველადი მიწოდება ადგილობრივი წარმოების, იმპორტის, ლიზინგის ან სხვა გზით. პროდუქტის ყოველი მომდევნო მიწოდება არ ითვლება ბაზარზე განთავსებად.

სპეციფიკური ნარჩენი

- კანონის მიხედვით, სპეციფიკური ნარჩენია ისეთი პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენი, რომელიც ნარჩენად გადაქცევის შემდეგ მართვის სპეციფიკური ზომების მიღებასა და მოვლას საჭიროებს (მაგალითად, შეფუთვა, ზეთი, საბურავი, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება, ბატარეა, აკუმულატორი, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები და სხვა).

დადგენილებები

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს დადგენილებების პროექტები, რომლებითაც უნდა განისაზღვროს მწარმოებლების დეტალური ვალდებულებები. დღეის

მდგომარეობით, აღნიშნული დადგენილებები განსახილველად წარდგენილი არ არის.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე,10 ნოემბერი 2019

„განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი

კანონის პროექტის მიზანი

საქართველოს პარლამენტი 2019 წლის 12 ნოემბერს მეორე მოსმენით განიხილავს „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს.

- კანონის პროექტი ადგენს:
  - განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის ხელშეწყობისა და გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს;
  - სავალდებულო ეროვნულ სამიზნე მაჩვენებლებს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიისათვის.

განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის დეფინიცია

- კანონის პროექტის მიხედვით, განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერგიად მიიჩნევა:
  - ქარის ენერგია;
  - მზის ენერგია;
  - აეროთერმული ენერგია;
  - გეოთერმული ენერგია;
  - ჰიდროთერმული ენერგია;
  - ოკეანის ენერგია;
  - ჰიდროენერგია;
  - ბიომასა;
  - ნაგავსაყრელებზე ორგანული მასალის დაშლის შედეგად მიღებული გაზი;
  - წყალარინების გამწმენდ ნაგებობაში წარმოქმნილი გაზი და ბიოგაზი;
- კანონის პროექტი აგრეთვე მოიცავს განახლებად ენერგიასთან დაკავშირებულ ვალდებულებას, რომლის

განახლებად ენერგიასთან დაკავშირებული ვალდებულება

მიხედვითაც ენერგიის მწარმოებლები, მიმწოდებლები ან მომხმარებლები ვალდებულნი არიან განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის განსაზღვრული პროპორცია ჩართონ თავიანთ წარმოებაში, მიწოდებაში ან მოხმარებაში.

- აღნიშნული ვალდებულება შეიძლება შესრულდეს მწვანე სერთიფიკატის გამოყენებით კანონის შესაბამისად.

- კანონის პროექტის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უნდა მოამზადოს მხარდაჭერის სქემა და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს მთავრობას. მხარდაჭერის სქემა შესაძლოა, მათ შორის, მოიცავდეს შემდეგ წამახალისებელ ღონისძიებებს:

  - ინვესტიციების მხარდაჭერა;

  - გადასახადებისგან გათავისუფლება ან შემცირება;

  - გადასახადების დაბრუნება.

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 12 ნოემბერი 2019

კანონის პროექტი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“

საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 16 ოქტომბრის დადგენილებით პირველი მოსმენით მიიღო „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ კანონის პროექტი. კანონის პროექტით გათვალისწინებულია ამჟამინდელი კანონის „ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ გაუქმება.

კანონის პროექტი, მათ შორის, მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- იზრდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის უფლებამოსილება. გარდა ქსელის წესების დადგენისა, სემეკის უფლებამოსილებაში შევა ბაზრის წესების და გადამცემი ქსელის განვითარების 10 წლიანი გეგმების დამტკიცება.

- კანონის პროექტით იმიჯნება გადამცემი ან გამანაწილებელი საქმიანობა წარმოებისა და მიწოდების საქმიანობისგან.

- კანონის პროექტის მიხედვით, ელექტროენერგეტიკულ სექტორში ლიცენზია გაიცემა შემდეგ საქმიანობებზე:

ლიცენზიები

- ელექტროენერგიის წარმოება;
- ელექტროენერგიის გადაცემა;
- ელექტროენერგიის განაწილება;
- ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერირება.

- ლიცენზირებას არ საჭიროებს:
  - ელექტრო ენერგიის წარმოება პირადი მოხმარების მიზნებისთვის როდესაც ელექტროენერგიის ობიექტი მიერთებული არ არის ელექტროენერგიის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელთან;
  - ელექტროენერგიის წარმოება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დროს;
  - ელექტროენერგიის წარმოება მცირე და მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურებით. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის საპროექტო სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 15 მეგავატს.

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 11 ნოემბერი 2019

კანონის პროექტი „ენერგო ეტიკეტირების“ შესახებ

პარლამენტი პირველი მოსმენით განიხილავს კანონის პროექტს „ენერგო ეტიკეტირების“ შესახებ.

- კანონის მოქმედება ვრცელდება ნებისმიერ პროდუქტზე, რომელიც:
  - გამოყენებისას მოიხმარს ენერგიას და რომელიც განთავსებულია საქართველოს ბაზარზე;
  - ენერგომომხმარებელი პროდუქტის იმ ნაწილებზე, რომლებიც ინდივიდუალურად განთავსებულია ბაზარზე.
- კანონის პროექტით განისაზღვრება მიმწოდებლისა და დილერის შემდეგი ვალდებულებები:
  - მიმწოდებელი, რომელიც ბაზარზე განათავსებს ან ექსპლუატაციაში გაუშვებს პროდუქტს, ვალდებულია უზრუნველყოს პროდუქტთან

ერთად ეტიკეტისა და ფიშეს მიწოდება;

- მიმწოდებელი ვალდებულია დილერებს უფასოდ მიაწოდოს პროდუქტთან დაკავშირებული ეტიკეტები და ინფორმაცია პროდუქტის შესახებ;

- საბოლოო მომხმარებელზე პროდუქტის ნებისმიერი ფორმით მიწოდებისას დილერი ვალდებულია თვალსაჩინოდ განათავსოს ეტიკეტი და უზრუნველყოს, რომ პროდუქტის თანმხლები დოკუმენტაცია ან ბროშურა მოიცავდეს პროდუქტის ფიშესაც.

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 12 ნოემბერი 2019

ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ ცვლილებებს თქვენს საქმიანობაზე.

სერგი კობახიძე
პარტნიორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა
E-mail: sergi.kobakhidze@pwc.com
ტელ: + 995 32 250 80 50

ვანო გოგელია
იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი
E-mail: vano.gogelia@pwc.com
ტელ: + 995 32 250 80 50

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ქსელი მსოფლიოს მასშტაბით შედგება 208,109 პროფესიონალისგან, რომლებიც დასაქმებული არიან 157 ქვეყნის 756 ოფისში.

PwC საქართველოს **საგადასახადო მომსახურების** ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებებს, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, საგადასახადო დავებში წარმომადგენლობას, საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებთან მიმართებით კონსულტაციებს, საგადასახადო სტრუქტურირებას და სხვ.

PwC საქართველო **იურიდიული მომსახურების** ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საკორპორაციო, სახელშეკრულებო საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივ დახმარებას, კომპანიათა რეორგანიზაციას, კონკურენციის სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, სასამართლოში წარმომადგენლობას, სამშენებლო, შრომის და სხვა სამართლებრივ მომსახურებებს. ჩვენ წარმოვადგენთ ყველაზე ფართო გეოგრაფიული დაფარვის მქონე იურიდიული მომსახურების ქსელს მსოფლიოში, 3,200 იურისტით 85-ზე მეტ ქვეყანაში.

ეს მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შემავალი ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაეყრდნოს ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2019 PwC. All rights reserved. PricewaterhouseCoopers Georgia LLC refers to the PwC network and/or one or more of its member firms, each of which is a separate legal entity. Please see www.pwc.com/structure for further details.